პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 272 (11883) | ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ვალდებულების შესრულება ღირსების საქმეა

კიდევ რამდენიმე დღე, და დაგვემშვიდობება ქართული შემოდგომა.

არაფერი გვაქვს მასზე სამდურავი. წელს არაჩვეულებრივი, რორც იტყვიან, ნამდვილად ოქროს შემოდგომა, დოდლათითა და ჭირნახეთ სავსე შემოდგომაა. და თითქოს ბუბაც გრძნობდა დიადი ოქტომბრის მოლობას, თავისუფალი შრომისა და ბედერების ჭეშმარიტი ზეიმის მოახლოებას, — უხვად აფრქვევდა მზე თავის შალხლებულ სხივებს და ამით საოქტომბრო დღესასწაულს უფრო მეტი ლაზათი ა ხილმაზე მისცა, ბუნების ეს ილაღე ა. სდიადე თვითეულ ჩვენგანს, პატიონი შრომის ყოველ ადამიანს ახალ ენერგიასა და სიმხნევეს მატებს.

მაგრამ გადაჭარბებული როდი იქნება, თუ ვიტყვით, რომ თვით ბუნების ეს სიალაზეც კი იჩრდილება იმ შესანიშნავ ოფოგთან, რაც ადამიანის ნათელმა გონებამ და მისმა მტკიცე მარჯვენამ შექმნა სოფლად.

სწორედ შემოდგომის ამ დღეებში, ოქტომბრის ზეიმის დღეებში მძლავრ ნაკადად მოედინებოდა სასიხარულო ამბები ნდოგრეგიდან, ფერმებიდან, რაიონებიან... სოფლის მშრომელთა გამარჯვებებ, მათ განსაკუთრებულ გარჯაზე. ეს ნადი არც ახლა შეწყვეტილა.

მთელ ქვეყანაში გაითქვეს სახელი ენებმა მეჩაიეებმა. მერამდენე წელია ისინ ტონს იძლევიან, თუ რა თავდადებით ნდა ვშრომობდეთ, არ ვღალატობდეთ ტეყვას, ვასრულებდეთ არა მარტო გეგ, არამედ გადადებულ ვალდებულებაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეის სიტყვა სერიოზულ სიტყვად იქცა. ეტომ მათ არაერთხელ დაიმსახურეს ენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობის მადლობა. პარტიას, ლს სწამს: მეჩაიემ თუ იკისრა, შეასრულებს კიდეც. რა შეიძლება იყოს ამაზე ბატონო და საამაყო!

ჩაის ოსტატებს მხარდამხარ მისდევენ ენი მევენახეები. მართალია, „იმ დასაცემა სეტყვამ“ ზოგან დიდი ზარალი აყენა განსაკუთრებული სიყვარულით ოვლილ ვენახებს, მაგრამ მევენახეებიც არ ტეხენ სიტყვას, ცდილობენ პირველივად არ გამოვიდნენ სახელმწიფოს წინაშე. მართლაც არაერთმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიჰყიდა სახელმწიფოს გეგმაზე მეტი საუკეთესო ხილსის ყურძენი და ამით თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის დოვლათის ზრდაში.

ახლა გაჩაღებული „როველია“ სუბტროპიკულ რაიონებში. იკრიფება სუფრის მშვენება — ციტრუსები. პირუტყვს საკვებს უმზადებენ მეცხოველეები. მოსავალს ამბინავებენ ფეთამბაკოეები. ერთი სიტყვით, კოლმეურნის მუშები არ ჩახრილა, მას დასვენებისათვის არ მოუცლია.

სხვანაირად არც შეიძლება, ყველასათვის ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში შემოდგომა აგვირგვინებს საქმეს, ის აჯამებს ბლეჩკაცის მთელი წლის ნაამაგარს, ნაოფლარს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო.

სახიამოვნოდ დაგვრჩებოდა ყველას, და, მართლაც, რა იქნებოდა იმაზე უკეთესი, რომ ყოველი რაიონი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, თვითეული მუშაკი პატივსა სცემდეს თავის სიტყვას, პასუხისმგებლობით, მთელი შეგნებით ეკიდებოდეს ვალდებულებათა შესრულებას და ასე იოლად, უდარდელად არ ატანდეს ქარს პარტიისათვის, მთავრობისათვის მიცემული დაპირების განაღდებას. სამწუხაროდ, ერთი და ორი რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა როდია, რომელმაც დიდი ხმაურით იკისრა გადიდებული ვალდებულებანი და ახლა ხუსტად ასრულებს მათ. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სოფლის მეურნეობის მეტად რთულ და ძნელ დარგში — მეცხოველეობაში, ხოლო ამის შედეგად — სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის პროდუქტების მიყიდვის წლიური ვალდებულების შესრულებაში.

ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მარტო ლეტონი დაპირებებით. მით უმეტეს ზოგჯერ წყალწყალა სიტყვებით, არარეალური ვალდებულებებით. მარტო ქაღალდზე მოხაზული ჰექტარებითა და ლამაზად ჩაწიკწიკებული ციფრებით ხორცისა და რძის სიუხვეს, დოვლათს ვერ შეავსებთ, ცხოვრებას წინ ვერ წავწევთ. მოხდენილად არის ნათქვამი: მოსავალი, სიუხვე ის არის, რაც დავბინავეთ ბეღელში, საწყობში, მარანში, რაც უკვე მივყიდეთ სახელმწიფოს, რაც მივეცით, გავუნაწილეთ კოლმეურნეებს.

განსაკუთრებით სერიოზული მოვალეობის წინაშე დგას ახლა საკოლმეურნეო სოფელი. დეკემბრის შუა რიცხვებში, როცა სამეურნეო წელი თითქმის იწურება და ყველაზე უკეთ შეიძლება დავინახოთ, შევამოწმოთ — როგორ ვშრომობდით, რას მივაღწიეთ, რაზე შეგვტკივა გული, — შეიკრიბება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მორიგი პლენუმი. იგი განიხილავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მომწიფებულ საკითხებს. პლენუმი 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების მოხსენებებთან ერთად მოისმენს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას.

„კომუნისტის“ რედაქციას რესპუბლიკის რაიონებიდან მოსდის საყურადღებო ცნობები იმაზე, თუ რა დიდ მზადებაშია არიან საქართველოს საკოლმეურნეო სოფლების მშრომელები პლენუმის შესახვედრად.

ქართველი კოლმეურნის ფიქრები და განწყობილებანი შესანიშნავად გამოხატა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ცნობილმა მეღორემ დავით სეფიაშვილმა ოქტომბრის ზეიმის წინადღეს ნ. ს. ხრუშჩოვისათვის გაგზავნილ წერილში. ნოვატორმა მეღორემ ვაჟკაცურად შეასრულა ამ ერთი წლის წინათ აღებული სოციალისტური ვალდებულებანი: გაასუქა 1.005 სული ღორი და ცენტნერი ხორცის თვითღირებულება შარშანდელ 750 მანეთიდან 200 მანეთამდე დაიყვანა. იგი ჩვენი მთავრობის მეთაურს სწერდა: „დიდი სიხარული გამოიწვია ჩემში ცნობამ, რომ დეკემბერში მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს სსრ კავშირისა და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. მომავალი დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად ვალდებულებას ვკისრულობ წლის ბოლომდე გავასუქო კიდევ 200 სული ღორი, საშალოდ თვითეული 85-90 კილოგრამი ცოცხალი წონით“.

ასეთივე პატრიოტული წერილი გაუგზავნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ცნობილმა ქართველმა მეფრინველემ ქეთო კორკოტაშვილმა.

ᲓᲘᲓᲘᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! — ეს არის ამჟამად ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი. ხოლო პლენუმისათვის საუკეთესო მომზადება ნიშნავს: პირნათლად შეავსრულოთ მიმდინარე წელს აღებული სოციალისტური ვალდებულებანი, მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ხორცი, რძე; დაჩქარებით შეავსოთ გეგმით გათვალისწინებული მსხვილფეხა პირუტყვის, პირველ რიგში ძროხის სულადობა; მივიღოთ ყველა საჭირო ზომა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისა და მისი სანმეშო გამოზამთრებისათვის; აქედანვე ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი მომავალი წლის ჩაის, ვენახის, მარცვლეულის, ყველა სხვა კულტურის უხვ მოსავალს.

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ — აი რა ახასიათებს ჩვენს პარტიას. სწორედ ამ კეთილშობილურ თვისებას უნერგავს იგი ყველა საბჭოთა ადამიანს. გვახსოვდეს: ვალდებულების პირნათლად განაღდება — ეს ღირსების საქმეა.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარეობს პარტიული ორგანოების არჩევნები, რაიონული პარტიული კონფერენციები. ვერ ვნახავთ ამაზე სხვა უკეთეს ტრიბუნას, საიდანაც შეიძლება მოველაპარაკოთ პარტიულ მასებს, სოფლის მშრომელებს, რათა ხორცი შეასხან მათ მიერ აღებულ ვალდებულებებს, მობილიზაცია უყონ მთელ რეზერვებსა და შესაძლებლობებს სამეურნეო წლის ჩინებულად დაგვირგვინებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

13 დეკემბერს — სკკპ ცკ-ის პლენუმი

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲤᲣᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ რაიონში ქებით ისსენიებენ პატრიოტულ მეცხოველეებს, მესამინდიებსა და მებოსტნეებს. მართლაც რომ ჩინებული წარმატებები მოიპოვა წელს XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ — არ არის მეურნეობის დარგი, სადაც მკვეთრი აღმავლობისათვის არ მიეღწიოთ, არ არის ისეთი ვალდებულება, რომელიც პატრიკეთელებს ეკისროთ და არ გაეანაღდებინოთ.

ჯერ იყო და მებოსტნეებმა გაახარეს რაიონი — 409 ტონა პამიდორი მიჰყიდეს სახელმწიფოს, რითაც გეგმაც და ვალდებულებაც უკან ჩამოიტოვეს. ამას მესამინდეთა გამარჯვება მოჰყვა — სამარცვლედ ნათესი ორასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ვალდებულებით ნაკისრი 20 ცენტნერის ნაცვლად 30 ცენტნერი სიმინდი მიიღეს.

წარმატებებს ამრავლებენ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს ჩხოროწყუ რაიონის მშრომელები თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან. რაიონის მეჩაიეებმა სახელოვნად დაამთავრეს ჩაის კრეფის მიმდინარე წლის სეზონი, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 6.061 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.400 ტონისა.

წინა წლებში დიდად ჩამორჩენილი იყო მეცხოველეობა. მაგრამ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შვიდწლედის მეორე წლის დავალება დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა სასახელოდ შესრულდა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 310 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 531 ტონა ხორცი, 895 ტონა რძე ნაცვლად 835 ტონისა, 307 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 300 ათასი ცალისა. პირუტყვის გამოზამთრებისათვის ჩაგებულია 7.010 ტონა სილოსი ნაცვლად 7.000 ტონისა.

Შ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ,

მტკიცი გამოდგა მეცხოველეთა სიტყვაც — ათ თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1923 კილოგრამი რძე, გეგმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს 653 კილოგრამით აჭარბებს მთელი წლისათვის ნაკისრ ვალდებულებას. კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა უპატაკა რძის წარმოების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე 146 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 170 ცენტნერი რძე. ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოება 38 ტონით გადიდდა.

გვერდს ვერ ავუვლით მეცხოველეთა სხვა წარმატებებსაც. მათ გადამეტებით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის წლიური გეგმა. მთლიანად შეინარჩუნეს ნამატი, 1 ნოემბრისათვის მთელი წლისათვის გათვალისწინებული ათი გოჭის ნაცვლად თვითეულ დედაღორზე მიიღეს ცამეტი გოჭი. სუქებაზე დააყენეს 76 ღორი.

აქ პირუტყვისათვის მყარი საკვები ბაზაა შექმნილი. თვითეულ ძროხაზე ჩადებულია 11 ტონა სილოსი, პირუტყვის სადგომებთან მიზიდულია ჩალის, თივისა და ნამჯის საკმაო მარაგი, ბლომად გამოჰყვეს საფურაქე მარცვლეული.

ყველაფერი ეს მიღწეულია აქაურ მეცხოველეთა (ფერმის გამგე ჭ. ბერაძე) თავდადებული შრომით. მწველავები ა. რაჰიშვილი, გ. გოდუაძე და გ. ნამჩავაძე გამარჯვებებით ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს. თვითეულმა მათგანმა დღემდე საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე 2.000-2.300 კილოგრამი რძე მიიღო.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘᲡ უხვი მოსავალი მოიყვანეს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მერგოლური ვ. სხვიტინიძე, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა მოკრიფოს სულ ცოტა 3 ტონა მანდარინი.

ფოტო ა. აბულაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓ Ა. ᲔᲚ ᲙᲣᲜᲘ

22 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი მოჰამედ ა. ელ კუნი მისი თხოვნით და ესაუბრა მას. საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი.

(საკდესი).

ᲛᲐᲠᲝᲩᲙᲝᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲠᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲨᲘ

სსრ კავშირში მყოფი მაროკოს მეგობრობისა და კეთილი ნების მისია, რომელსაც მაროკოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალჰედ ბალაფრეჯი მეთაურობს, 21 ნოემბერს კრემლში მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. ნ. ს. ხრუშჩოვსა და ა. ბალაფრეჯს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

ამავე დღეს სტუმრები კრემლში ვიზიტად ეწვივნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

მოსკოვის უნივერსიტეტში გაიმართა საბჭოთა და უცხოელი სტუდენტების დიდი საღამო, რომელიც მიეძღვნა მაროკოს ეროვნული დღესასწაულს—დამოუკიდებლობის მიღების მე-4 წლისთავს. საღამოს მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ მაროკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ალი იატასა და ამ ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ალჰედ ბალაფრეჯს.

(საკდესი).

ᲩᲔᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡ

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

△ **ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ.** (საკ. კორ.). სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ჩამამული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 22 ნოემბრისათვის ყველა მაჩვენებლით შეასრულა სახაქონლო მარგანეცის ამოღების წლიური დავალება. თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია მილიონზე მეტი მანეთი. კარგად მუშაობენ ღ. აბაშიძის, ი. წერეთელის და ი. ჩაჩანიძის უბნები, აგრეთვე გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გ. გიორგინდაშვილი და ბ. საყვარელიძე.

წლიური გეგმა 22 ნოემბრისათვის შეასრულა აგრეთვე კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. თვითღირებულების შემცირებით მაღაროელებმა დაზოგეს 555 ათასი მანეთი. წინ მიდიან ის უბნები, რომლებსაც ა. ფერაძე, ვ. სკიინჭალაშვილი, გ. ზაბახიდე ხელმძღვანელობენ. საუკეთესო შრომითს მაგალითებს იძლევიან მუშები შ. აბრამიშვილი, ბ. ჩუბინაძე, ე. გაფრინდაშვილი, მ. ღუდუნაშვილი.

△ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ ვადამდე — 21 ნოემბრისათვის შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა.

ქალაქის 8 საწარმოს კოლექტივებმა ვადამდე უპატაკეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალების განაღდება. შვიდწლედის მესამე წლის ანგარიშში მუშაობენ მინის ტარის ქარხნის, № 4 საერთო სამშენებლო ტრესტის, ქალაქის სამრეწველო კომბინატის, აგრის მექანიზებული ქარხნის, ტრესტ „საქმიდრონერგრომშენის“ საწარმოო კომბინატის, „გელათშაბატმშენის“ დამხმარე წარმოების, რძისა და ლუდის ქარხნების კოლექტივები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოთა კოლექტივებმა 18 ნოემბრისათვის წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, რომ გამოეშვათ 165 ათასი ტონა საკვები, რაც 15 ათასი ტონით მეტია გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით. მათ გამოუშვეს 165.485 ტონა კომბინირებული საკვები, მათ შორის 22.485 ტონა ფრინველის საკვები.

ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად, საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულება, რომ გამოუშვან და რესპუბლიკის მეცხოველეობას გადასცენ კიდევ 20 ათასი ტონა საკვები, მათ შორის 3.000 ტონა ფრინველის საკვები.

(საქდესი).

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ იშრომა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალათასიანმა კოლექტივმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში. სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 104,6 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. „ცენტროსოიუზის“ გამგეობისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მესამე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ცეკავშირს კვლავ მიეკუთვნა პირველი ადგილი სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წოელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

22 ნოემბერს ცეკავშირის გამგეობის კლუბში გაიმართა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის აქტივის საზეიმო კრება.

ქართველ კოოპერატორებს გულთბილად მიულოცა გამარჯვება „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ი. ხორიბამ. დამსწრეთა ტაშის გრიალში მან სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულთ გადასცა გარდამავალი წოელი დროშა.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. კ. ცაგარეიშვილმა, მიიღო რა ჯილდო, თქვა, რომ ქართველი კოოპერატორები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ.

კოოპერატორებს მიესალმნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. მ. ბ. ღვინჭილია, რესპუბლიკის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. ვ. ა. კიკვაძე.

აქტივის კრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ნ. ა. კვაჭაძემ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ამხ. პ. ნ. ბაქრაძემ. (საქდესი).

ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). იზრდება მეტალურგთა ქალაქი. სართულს სართული ემატება და მწყობრში დგება ახალი სახლები, კულტურულ - საყოფაცხოვრებო ობიექტები. ქალაქის მშენებლობას ძირითადად ბინათმშენებლობის სამმართველოს კოლექტივი ეწევა. წელს მათ ააგეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 20.000 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი სახლები. წლის ბოლოსათვის აქ ექ�მრავალ ახალ სახლს ააგებენ. მშენებლები ახლა მთელი ძალებით მუშაობენ, რათა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის დაამთავრონ მტკვრის მარჯვენა ნაპირის ცენტრალური მოედნის მშენებლობა და მის ირგვლივ ორი უზარმაზარი შენობის აგება.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური საიუბილეო ოლიმპიადის მონაწილეთა გამოსვლები.

ამ დღეს გამოვიდნენ გორის, ცაგერის, ყაზბეგისა და მესტიის რაიონების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, რომელთა შემადგენლობაში 600-ზე მეტი კაცი იყო.

...სცენაზეა გორის ბამბეულის კომბინატის სამხატვრო კოლექტივი, რომელმაც წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „გორი ქსოვს“ მშვიდობის დროშას“. დადგმის ავტორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ყუმბატაშვილი, ტექსტი დაწერა პ. გოუზინსკიმ, კომპოზიტორია ო. გორდელი, მხატვარი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა, ქორეოგრაფი — ო. პაპაშვილი, გუნდის ხელმძღვანელები — ვ. წერეთელი, ნ. ბახტაძე. წამყვანთა ტექსტი წაიკითხეს კომბინატის მუშამ ნ. ჯაფარიძემ და სტუდენტმა გ. ჩუბინიძემ.

მონტაჟში, რომელშიც ასახული იყო ამ უძველესი ქალაქის მძიმე წარსული და ნათელი მომავალი, გამოყენებული იყო ქართული ხალხური სიმღერები—„მეტივეური“, „გაფრინდი ბავო მერცხალო“, „მემლი მუხასა“, „გუთნური“, „ცანგალა და გოგონა“, ო. გორდელის სიმღერები და ქართული ხალხური ცეკვები.

მონტაჟმა წარმატებით ჩაიარა.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ლენტების რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლამ, ჯ. მეშველიანის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა წარმატებით შეასრულა სვანური ხალხური სიმღერები—„ყავსავ ყიფიანე“, „ქვირია“, „თამარ დედოფალი“, „ლაქვაში“ და კომპოზიტორ გ. კოკელაძის სიმღერა პარტიაზე. თავი გამოიჩინეს ანსამბლის სოლისტებმა დ. ლიპარტელიანმა, დ. ქერასპეიდიანმა, ჯ. გუგაცამ, ი. ბენდელიანმა და სხვებმა.

მსმენელებმა გულთბილად მიიღეს ცაგერის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელია მ. ყურაშვილი (ქორეოგრაფები მ. კოპალიანი, ჯ. მეშველიანი, მ. ახვლედიანი). ანსამბლმა პირველ ნომრად შეასრულა სიმღერა საქართველოსზე (ტექსტი და მუსიკა მ. ქუთათელაძისა). შემდეგ შესრულებულ იქნა კომპოზიტორ მ. ჩიჩინაშვილის „ყაყაჩო“ პოეტ ლადო ასათიანის სიტყვებზე, მასობრივი ცეკვა, ხალხური სიმღერები „კიკოლიკო და ხალიკო“, „კურდღელი ჩამოცანცარდა“, აგრეთვე სიმღერა ლეჩხუმზე.

ყაზბეგის კოლექტივმა გამოსვლა დაიწყო სიმღერით „სალამი თბილისს“. შემდეგ ყაზბეგის რაიონის წარმომადგენლებმა შეასრულეს სიმღერა „ახალ საქართველოზე“ (მუსიკა ლ. თოფაძისა, ტექსტი გ. გიგაურისა), ოსური სიმღერა „ჩემი მზე ხარ“, „მოხეური ფიცი“ და ვაჟთა ხალხური მასობრივი ცეკვა. კარგად გამოვიდნენ ანსამბლის სოლისტები ო. მირაქაშვილი, ვ. ჩეკიაშვილი, რ. წიკლაური და სხვები.

საღამოს დასასრულს გამოვიდა მესტიის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ანსამბლი 3. დადვანის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი — მ. გურგულიანი). „დიდება“, — ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც ანსამბლმა შეასრულა ცეკვის თანხლებით. მაყურებელმა მოიწონა ხალხური სიმღერები „ლილე“, „სოხარ ციოყ“, „ვიცბელ მაცბელ“, „თამარ დედოფალი“ და სხვა, რომლებიც ოსტატურად შეასრულეს მესტიელებმა.

მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების მონაწილეთა კონცერტს დაესწრნენ ვ. პ. მეფვანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, მ. მ. ელეანაშვილი, ი. გ. როველიაშვილი. (საქდესი).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ: გორის ბამბეულის კომბინატის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 18 ნოემბერი. (საკდესი). რუსეთის სფსრ განათლების სამინისტრომ და რუსეთის კადემიამ შეიმუშავეს ყველა სავანის ახალი სასწავლო პროგრამები ერთწლიანი სკოლებისათვის, აგრეთვე საშუალო შრომის პოლიტექნიკური საწარმოო სწავლების სკოლის მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებისათვის.

საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის მოადგილეს მ. პ. კაშინს უპასუხოს მთელ რიგ შეკითხვებზე ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის გამო.

რით განსხვავდება ახალი პროგრამები ამჟამად მოქმედი პროგრამებისაგან?

ახალი სასწავლო პროგრამები შედგენილია შესაბამისად „კანონისა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში“ იმ ვარაუდით, რომ, როცა სკოლის დაამთავრებენ, ქალაშვილებსა და ბიჭებს ჭქონდეთ მეცნიერების საფუძველთა მტკიცე ცოდნა და შეძლოთ მაშინვე დაიწყონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. საბჭოთა სკოლის წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანა — შემდგომ აღზარდოს ჩვენი ახალგაზრდობა შრომისადმი, სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ულიდესი პატივისცემის სულისკვეთებით, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

პროგრამების პროექტების განხილვაში უმთავარ მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრიობამ, მასწავლებელთა ფართო მასებმა.

რა არის ახალი ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ხაზვისა და ასტრონომიის პროგრამებში?

რვაწლიანი სკოლის ფიზიკის კურსის პროგრამაში შეტანილია შესწავლა ელემენტარული ცნობებისა რადიოს, ატომის აგებულების, ბგერითი და სინათლის მოვლენების შესახებ, რაც არ ისწავლებოდა წინათ შვიდწლიან სკოლაში. რვაწლედის მოსწავლეები გაეცნობიან ჰიდროელექტრო, თბო და ელექტროძრავების მოწყობის და მოქმედების პრინციპებს, მანგილზე ენერგიის გადაცემის წესებს, იმ მასალების ზოგიერთ თვისებას, რომლებსაც სამშენებლო საქმეში იყენებენ, ელექტრომაგნიტურ და სხვა ტიპის რელეებს, რომლებსაც ავტომატიკაში იყენებენ.

IX-XI კლასების სასწავლო პროგრამებში თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკას კიდევ მეტი ყურადღება ექცევა. ამ კლასებში მოსწავლეები გაეცნობიან პლასტიკური მასების ფიზიკურ

მაღალმთიანი რაიონის რეზერვები

ცნობამ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღაფრთოვანა ახალქალაქის რაიონის მშრომელები. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში გადასინჯეს წინსვლის შესაძლებლობები და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

დიახ, ახალქალაქელებს აქვთ ახალი რეზერვები, ახალი შესაძლებლობები. მიმდინარე სამეურნეო წელს, მარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალმთიანი რაიონის ეკონომიკა, საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს 1.228 ტონით მეტი მარცვლეული მიიღეს ვიდრე მარშან. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 91 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად 60 ცენტნერისა. სარეკორდო მოსავალი აქვთ სოფლების ხულგუმოს, კარტიკამის, ბავრას, ხანდოსა და სხვა მოწინავე კოლმეურნეობებს.

ათ თვეში რაიონში მიღებულია 6.522 ტონა რძე, რაც 462 ტონით მეტია 1959 წელთან შედარებით. ყოველ საფურაქე ძროხაზე მოწველილია 1.674 კილოგრამი რძე.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ხორცის წარმოებაშიც. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 6.800 სული მსხვილფეხა, ხოლო 13.300 სული წვრილფეხა პირუტყვი, 1.900 სული ღორი, თვითეული 95 კილოგრამი წონისა. ეს მთლიანად შეადგენს 2.330 ტონა ხორცს, ანუ 829 ტონით მეტს, ვიდრე შარშან. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებები.

— ეს წარმატებები, — თქვა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ს. მატოიანმა, — შემთხვევითი როდია. იგი მოპოვებულია სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით.

მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ძომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა ილაპარაკეს მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით აღინიშნა სოფლების კოჩიოს, კორხის, აბულისა და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის გაბგეობათა და პარტიული ორგანიზაციების ცუდი მუშაობა, რომლებმაც არა თუ გაზარდეს, არამედ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვითეულ საფურაქე ძროხაზე 200-450 კილოგრამით შეამცირეს წველადობა.

ბევრგან ვერ უზრუნველყვეს საკვების დაგროვებისა და პირუტყვის სადგომი ბინების მშენებლობის დავალებათა შესრულება, ჩაშლილია შრომის ორგანიზაცია. ათ თვეში რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 3.980 კაცს, ანუ კოლმეურნეთა 20 პროცენტს, ხოლო საკოლმეურნეო წარმოებაში სულ არ მიუღია მონაწილეობა 1.200 კოლმეურნეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გააკრიტიკეს სოფლების ალასტანის, გომანის, ვარევანისა და ჩამდურას კოლმეურნეობები.

— ბევრგან, — აღნიშნავდნენ დელეგატები, — დაბალ დონეზეა პირუტყვის ზოოვეტერინარული და პროფილაქტიკური მომსახურება, არა ჰყავთ ამ დარგის სპეციალისტები. ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად წელს რაიონის კოლმეურნეობებში დაეცა 8.800 სული ცხვარი. ანალოგიური მდგომარეობა იყო საბჭოთა მეურნეობებშიც. მეცხვარეობის განვითარების საქმისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულებით წელს რაიონმა დაკარგა დაახლოებით 600 ტონა ცხვრის ხორცი და 35 ტონა მატყლი.

გულისტკივილით ლაპარაკობდნენ რა ამ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, დელეგატები — ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. ალელიშვილი, სულდის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი მ. ხაჩატურიანი, ოლაქერდის კოლმეურნეობის ლენინის ორდენოსანი მწველავი ნაზიკ ნერსესიანი და სხვები აღნიშნავდნენ, რომ პარტიის რაიკომმა არსებითად უნდა გააუმჯობესოს მასებში ორგანიზატორული მუშაობა.

— რაიკომის ბიუროს, — თქვეს დელეგატებმა, — არაერთხელ იმსჯელა ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მაგრამ ამ საქმეს ბოლომდე არ მიჰყავა, არ გაატარა საჭირო ზომები კოლმეურნეობების ნიჭიერი ორგანიზატორული კადრებით, სპეციალისტებით დაკომპლექტებისათვის, ჩამორჩენილი ფერმებისა და ბრიგადების მოწინავეთა დონემდე წამოწევისათვის.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხზე ილაპარაკოკომის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებულმა მემინდვრემ ს. ხუციშვილმა.

დელეგატებმა გულდასმით მოისმინეს ახალქალაქის რაიონში პირველი გაგანოველის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვასილ ქოჩორიანის გამოსვლა.

ახალქალაქელ კომუნისტთა მოთხოვნაა ამრავლონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს, ვადაზე ადრე გადაწყვიტონ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. ძოწენიძე. მან ვრცლად ილაპარაკა რაიონში მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის რეზერვებსა და შესაძლებლობებზე.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ს. მატოიანი, მეორე მდივნად — ამხ. თ. ლაზარაშვილი, მდივნად — ამხ. რ. იგიტხანიანი.

ვ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქვანახშირი
და დიდი ქიმიის პერსპექტივა

ტყიბულის ქვანახშირის საბადო ერთ-ერთი თავისებური და უმდიდრესი საბადოა მთელ საბჭოთა კავშირში. წიაღისეული აქ ღრმად არის ჩაწოლილი მიწის ქვეშ. ქვანახშირის თიხქმის ყველა ფენა სქელია, მათი სისქე ზოგჯერ 5 მეტრამდე აღწევს. ჩვეულებრივი საკოქსე და ეხერგეტიკულ ქვანახშირთან ერთად დიდი რაოდენობით გვხვდება ლიფტობიოლითური ნახშირები და ფიქლები.

აქაური მეშახტეები ლიფტობიოლითებს დღემდე „პარაზიტ“, უსარგებლო წიაღისეულად თვლიდნენ. ამიტომ არის, რომ საბადოს დამუშავების თანამედროვე მეთოდი არ ითვალისწინებდა მათ ამოღებას მიწის ზედაპირზე. მეშახტეები ცდილობდნენ ისე მოენგრიათ ქვანახშირი რომ არ დაერღვიათ ლიფტობიოლითების საუკეთესობრივი მყუდროება. მაგრამ ზოგჯერ ეს არ ხერხდებოდა. ძალაუნებურად „პარაზიტები“ შეერეოდნენ ხოლმე ქვანახშირს და აუარესებდნენ მის ხარისხს.

ლიფტობიოლითების წინააღმდეგ ბრძოლა არც მიწის ზედაპირზე ნელდებოდა. ქვანახშირის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში, სადაც რეგითი ქვანახშირიდან საკოქსე კონცენტრატს გამოყოფენ, ურთულესი მაჩქანები და მექანიზმები სასტიკად ილამბრეგდნენ ბუნების ამ აბეზარი ქმნილების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ბრძოლა ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდებოდა. ლიფტობიოლითების მინარევები მიანც მიჰყვებოდნენ საკოქსე კონცენტრატს. ასეთი კონცენტრატი მეტად მაღალი ნაცრიანობით ხასიათდება. ეს კი ხელს უშლის, საგრძნობლად აფერხებს საბრძმედე პროცესების ნორმალურ მსვლელობას, მნიშვნელოვნად ამცირებს ღუმელის წარმადობას, აძვირებს პროდუქციის ღირებულებას.

ზოგ შემთხვევაში დიდ უსიამოვნებას აყენებს მეშახტეებს ლიფტობიოლითების ის ნაწილი, რომელიც მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებში რჩება. წინასწარი, ხახმარსაწიგნაღდგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, ლიფტობიოლითებს მოხვდება თუ არა ჰაერის ჟანგი, ისინი თვითაღდებიან და იწვიან მიწისქვეშა ხანძრებს. ხანძარი მიწის ქვეშ კი უფრო საშიშია, ვიდრე მიწის ზედაპირზე. იგი დიდ საფრთხეს უქმნის მთელ შახტს, სანგრევებში მომუშავე ადამიანებს.

დიდი ხნის მანძილზე, დაახლოებით მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ქართველ მეცნიერთა წინაშე იდგა კითხვა: ხომ არ იქნებოდა მიჩანშეწონილი ლიფტობიოლითური ნახშირებისა და ფიქლების მიწის ზედაპირზე ამოღება? იქნებოდა თუ არა მათ რაიმე სამრეწველო მნიშვნელობა?

ბოლო წლებში ამ კითხვას ქართველმა მეცნიერებმა დადებითად უპასუხეს. ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა და ნახევრად საწარმოო მასშტაბის ცდებმა დაადასტურა, რომ ლიფტობიოლითები თავისთავად წარმოადგენენ მეტად ძვირფას კომპლექსურ ნედლეულს. მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. მიქელაძე ხელმძღვანელობდა დასახა ტყიბულს ლიფტობიოლითების, აგრეთვე ნახშირიანი ფიქლების გადამუშავების გზები. ახლა დადასტურებულია, რომ აღნიშნული ნედლეულისაგან მიიღება მაღალკალორიული საწვავი გაზი. ხოლო გაზიფიკაციის ნარჩენები შეიძლება გამოვიყენოთ სილიციუმ-ალუმინის ძვირფას შენადნობთა მისაღებად. სილიკო-ალუმინი წარმოადგენს საუკეთესო განმეორებელს მაღალხარისხოვანი მარკის ფოლადების წარმოებაში.

ლიფტობიოლითების ეფექტური გამოყენების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქიმიის ინსტიტუტის მაღალმოლეკულური ნაერთების ლაბორატორიის გამგემ, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ცისკარიშვილმა. ახლა უკვე დადგენილია, რომ ლიფტობიოლითების ფისისაგან ანუ რაბდოპისიტის კონცენტრატისაგან შეიძლება მივიღოთ ახალი სახეობის პლასტიკური მასები. ისინი მაღალ ტემპერატურაზე სწრაფად რბილდებიან და გარკვეული პირობების შექმნისთანავე იღებენ პლასტიკური მასებისათვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს, როგორიც არის თხევადობა, წნეხადობა და სხვა. პლასტმასების ამ ახალ ნედლეულს მთელი რიგი უპირატესობები აქვს სხვა ნედლეულთან შედარებით. იგი არ მოითხოვს დამუშავების რთულ პროცესებს. თითქმის არ იძლევა ნარჩენებს. ნედლეულისაგან მიღებულ სინთეზურ მასალას ლენინგრადიდან იქნა მიღებული, მთელი რიგი არსებითი ცვლილებები შეიტანა. ამაზე ბუმბერაზ ქიმიკოსებმა ჯერ ადრეულ სხვადასხვა მეცნიერებათა ინსტიტუტებში, ტუტეების და მარილების ხსნარები. რაბდოპისიტისაგან პლასტმასების მიღება 3,6-ჯერ ნაკლები ჯდება, ვიდრე ფენოლფორმალდეგანი.

დიდი ქიმიის ინტერესებმა დღის წესრიგში დააყენა საკოქსე და ენერგეტიკული ქვანახშირიდან რაბდოპისიტის გამოყოფის ეფექტიანი სისტემის შემუშავების საკითხი. ამჟამად ტყიბულში წარმოებს მომპოვებული ქვანახშირის სრულიად ახალი, სპეციალური, პეტროგრაფიული გამდიდრების წესის დამუშავება.

დღეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის. მთელი კოლექტივის ყურადღება მიპყრობილია ქვანახშირის შემრევი საამქროს გიგანტური კორპუსისაკენ, სადაც დგას უზარმაზარი აგრეგატი — შერჩევითი დაქუცმაცების საცდელი ცხავი. ამ ცხვის თავს დასტრიალებენ მუშები, ზეინკლები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის თანამშრომლები. თავისთავად ეს შერჩევითი დაქუცმაცების ცხავი წარმოადგენს რკინის მბრუნავ დოლს, ოდნავაც არ ეშინია კოროზიისა, აქვს მაღალი ელექტროსიიზოლაციო თვისებები. მასზე ზემოქმედებას ვერ ახდენენ სხვადასხვა მჟავების, ტუტეების და მარილების ხსნარები. რაბდოპისიტისაგან პლასტმასების მიღება 3,6-ჯერ ნაკლები ჯდება, ვიდრე ფენოლფორმალდეგანისაგან.

ეს წინადადებანი ეკუთვნით მეცნიერებს

ამ ინსტიტუტის ლაბორატორიებში ჩატარებული ექსპერიმენტებით ნაჩვენებია, რომ ეს ნედლეული ეფექტიანია ელექტროსაიზოლაციო ლაქებისა, ბეტონის, ბეტონის ბლოკების, ბეტონ-ბეტონის ფილების, ბეტონ-ბეტონ-ბეტონ-

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დილით გენერალურმა ასამბლეამ განაახლა განხილვა რწმუნებათა შემოწმებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონგოს წარმომადგენლობის შესახებ. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინათ ამ კომიტეტმა, რომელიც სასწრაფო წესით მოიწვიეს კოლონიურმა სახელმწიფოებმა, ამერიკის დელეგაციის რეკომენდაციით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონგოს რესპუბლიკის წარმომადგენლად დამტკიცდეს იმ პირთა ჯგუფი, რომელიც კასავუბუ მეთაურობს, გვინეის დელეგაციამ შეიტანა ამ რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვს გადაიხედოს ამ ჯგუფის რწმუნებათა დამტკიცება.

კონგოს წარმომადგენლის, გამოსვლის შემდეგ, ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გვინეის საზოგადოებრივ სამუშაოთა, კომუნიკაციათა და კავშირგაბმულობის მინისტრმა ისმაილ ტურემ. აღნიშნა რა, რომ ამ ბოლო დროს კონგოში მდგომარეობა გამწვავდა, მან განაცხადა, რომ ბელგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ზეგავლენით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სულ უფრო მეტად სცილდება თავის თავდაპირველ მიზნებს კონგოში. ახლა შეიქმნა საფრთხე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება გახდეს კონგოელი ხალხის ინტერესების აშკარა გამაცემლობის თანამონაწილე. ჩვენი ქვეყნის მთავრობის წინაშე, თქვა ტურემ, დგას ძნელი საკითხი — ხომ არ შეიცდნენ აფრიკის ქვეყნები, როცა დათანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებაში?

ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე თხოვნით კასავუბუს, ფაშისტ მობუტუსა და მოღალატე ჩომბეს სამკუთხედს სურს მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უფლება ილაპარაკოს კონგოელი ხალხის სახელით, თქვა შემდეგ ტურემ. თუ დაამტკიცა კასავუბუს რწმუნებანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამით მხარს დაუჭერს მის ბრძოლას კონგოს კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის წინააღმდეგ; ოფიციალურად ცნობს კატანგის გამოყოფას და კონგოს ერთიანობის პრინციპზე უარის თქმას; დაადასტურებს ბელგიის ცალმხრივ მოქმედებას. მცდარი იქნება, განაცხადა გვინეის დელეგატმა, დაუჯეროთ დასავლეთის მთავრობებს, რომლებიც მხარს უჭერენ გამყოფელ რეჟიმებს მთელ მსოფლიოში.

დასასრულ ტურემ გააფრთხილა ასამბლეა, რომ თუ ამ პირთა ჯგუფი, რომლებსაც კასავუბუ მეთაურობს, დაამტკიცეს კონგოს დელეგაციად, გვინეა გამოვა კონგოში მიმავალი შემრიგებელი კომისიის შემადგენლობიდან. ჩვენ სავსებით ვუცხადებთ სოლიდარობას კონგოელ ხალხს და ვფლობ ვადასტურებთ ჩვენს რწმენას, რომ ძლევამოსილად დამთავრდება მისი ბრძოლა კონგოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მალისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ რწმუნებათა შემმოწმებელი კომიტეტის რეკომენდაციებს.

ამერიკელებმა უნდა იცოდნენ სიმართლე

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა „კუბისადმი სამართლიანი დამოკიდებულებისათვის ბრძოლის კომიტეტი“

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). მიუხედავად გაფფრთხილებული ანტიკუბური კამპანიისა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, ბევრი თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იბრძვის იმისათვის, რომ დაანახვოს ამერიკელ ხალხს, თუ როგორია ნამდვილი მდგომარეობა კუბაში და რა სიკეთე მოუტანა რევოლუციამ კუბელ ხალხს. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ შეიქმნა „კუბისადმი სამართლიანი დამოკიდებულებისათვის ბრძოლის კომიტეტი“, რომელიც უკვე ერთიანებს 5 ათასზე მეტ კაცს.

კომიტეტის ხელმძღვანელობაში შედიან იურისტები, მეცნიერები, ჟურნალისტები, სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მის სამდაგი თავმჯდომარეებად არჩეული არიან ცნობილი მწერლები უოლდო ფრენკი და ჩარლზ ბილსი.

როგორც კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, ამერიკის პოლიციამ დევნას კომიტეტის ორგანიზატორებსა და წევრებს და ცდილობს მათ დამინებას. მაგრამ კომიტეტი აქტიურ მუშაობას ეწევა მთელ ამერიკაში.

ზეიმი მექსიკაში

მექსიკო, 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. პაველნკო იტყობინება: 20 ნოემბერს მექსიკაში ფართოდ აღინიშნა მექსიკის რევოლუციის 50 წლისთავი. 1910-1917 წლების ანტიიმპერიალისტურმა ანტიფეოდალურმა რევოლუციამ ითამაშა და პროგრესული როლი შეასრულა მექსიკის ისტორიაში. რევოლუციამ ბოლო მოუღო პორფირიო დიასის საშინელ დიქტატურას. გლეხთა მოძრაობის მძლავრი აღმავლობის მეოხებით აიწია ლატიფუნდისტთა მიწების გადაგვარების პრინციპით „მიწა მათ, ვინც მას მუშაობს“. მშრომელმა მასებმა შეუპოვარი ბრძოლაში მიაღწიეს თავიანთი ეკონომიკურ-პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის ერთგვარ გაუმჯობესებას. 1917 წელს მიღებული იყო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია — ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციათაგან ამერიკაში.

ეკონომიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში — ნავთობის, ენერგეტიკისა და სხვ. უცხოთის კაპიტალი გამოდევნეს მექსიკის სახელმწიფო კაპიტალმა. მექსიკის ხალხთა მასებმა იარაღით ხელში დაიცვეს თავიანთი სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ამერიკელებისა და სხვა ინტერვენტების ხელყოფისაგან.

რევოლუციის მონუმენტთან გაიმართა ზეიმი ცერემონია, მიძღვნილი რევოლუციისადმი. ცერემონიას დაესწრნენ პრეზიდენტი ლოპეს მატეოსი და მისი კაბინეტის წევრები, მექსიკის ყოფილი ექვსი პრეზიდენტი, მათ შორის ლასარო კარდენასი, უცხოეთის დელეგაციები, მათ შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ნ. ი. სმირნოვის მეთაურობით.

ქვემეთა სალუტში პრეზიდენტმა ლოპეს მატეოსმა მონუმენტის ოთხი სვეტის ერთ-ერთ სვეტში დადგა ურნა მექსიკის პირველი პრეზიდენტის მადეროს ნეშტით. მადერო არჩეული იყო პორფირიო დიასის დიქტატურის დამხობის შემდეგ და იგი მოკლეს იმპერიალიზმის დაქირავებულმა აგენტებმა 1913 წელს.

შემდეგ კონსტიტუციის მოედანზე პრეზიდენტის სასახლის წინ გაიმართა ფიზკულტურელთა პარადი.

საღამოსასწაულო ზეიმი გაიმართა აგრეთვე მექსიკის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

მეამბოხენი გაათავისუფლეს

პარიზი, 21 ნოემბერი. (საკდესი). პარიზში გრძელდება ეგრეთწოდებული „ბარიკადების პროცესი“, რომელზეც ბრალდებულებად გამოდიან ალჟირში 1960 წლის 24 იანვრის სამხედრო-ფაშისტური ამბოხების ორგანიზატორები. მაგრამ საფრანგეთის საზოგადოებრიობა ვერ მალავს თავის გაოცებას იმ ვითარების გამო, რომელშიც ახლა მიმდინარეობს სამხედრო ტრიბუნალის სხდომები, რომელიც მოწოდებულია დამსახურებისამებრ დასაჯოს ისინი, ვინც ხელყოფდა რესპუბლიკურ წყობილებას.

სამხედრო მოსამართლეთა გადაწყვეტილებით, რომელიც ტრიბუნალის წევრები არიან, პატიმრობიდან გაათავისუფლეს ყველა ისინი, ვინც დაპატიმრებული იყო ამ პროცესის დაწყებამდე. ლაგაიარდსა, დემარკესა და პერეზას შემდეგ 19 ნოემბერს დროებით გაათავისუფლეს ამბოხების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი ალჟირის სტუდენტთა ასოციაციის თავმჯდომარე სიუზანი, ხოლო გუშინ საფრანგეთის არმიის კაპიტანი რონდა. ისინი გაათავისუფლეს სამხედრო მოსამართლეებმა, მიუხედავად სახელმწიფო ბრალმდებლის გენერალ ბარდონისა და გენერალური პროკურორის მონჟენის პროტესტისა.

გაზეთი „კომბა“ გაოცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბრალდებულებმა „თავიანთ განკარგულებაში მიიღეს ტრიბუნა და მიკროფონი ხანგრძლივი ახსნა-განმარტებისათვის ფრანგული ალჟირის თავიანთი თვალსაზრისისა“. საქმე იქამდე მივიდა, რომ საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ სიუზანიმ უტიფრად განუცხადა პრესის წარმომადგენლებს: „ბრძოლა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ ფრანგული ალჟირისათვის, გრძელდება“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

მორიგი მარცხი

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დეპეშათა საგენტოები კანადერალის კონცხიდან იუწყებიან, გუშინ იქ მესამედ შეეცადნენ 130 მილის სიმაღლეზე გაეშვათ კაბინი, რომლის წონა ერთი ტონა იყო.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, რაკეტა „რედსტონი“, რომელზეც დადგმული იყო კაბინი, დაიწვა გაშვების მომენტში.

ამავე საგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, ამ მარცხმა „ლაზვარი ჩასცა“ ამერიკის იმ იმედებს, რომ მომავალი წლის დამდეგს კოსმოსში გაუშვათ ადამიანი“.

„ეს ცხადია, — წერს კორესპონდენტი, — თავიანთი შესაძლებლობა ცხადყვეს ავგისტოში, როცა ორბიტაზე გაიყვანეს და უვნებლად დაბრუნეს ხუთი ტონა კოსმოსური ხომალდი ცხოველებითურთ“.

კანადელი მეცნიერის განცხადება

ოტავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). ჰალიფაქსის ატომური რადიაციის საფრთხისადმი კონტროლის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა კალანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის ბრძანების საფუძველზე შეერთებული შტატების საჭირმოებში ატომური ბომბების წარმოების ნარჩენები გაიქცა ატლანტის ოკეანეში და ყირიან წყალში 200 მილის დაშორებით ახალი შოტლანდიის პროვინციის ნაპირების სამხრეთით. ეს ქმნის წყლის მოწამვლის საფრთხეს კანადის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით იჭერენ თევზს.

წყალდიდობა პერუში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ლიმიდან (პერუ) იუწყება, პერუს ჩრდილოეთ სანაპიროზე ლამბაიეკეს პროვინციაში მოვარდა 75 ფუტი სიმაღლის მოქცევის ტალღა. ყველაზე მეტად დაზარალდნენ პიმენტელისა და ეტენის ნავსადგურები, სადაც დანგრეულია ნავმისადგომები და ნავსადგურის სხვა ნაგებობანი. სანტა-როზას დაბაში მოსახლობილია მებადურების ქოხები და სხვა შენობები.

პირველი მოკლე მონაცემები მოწმობენ, რომ წყალდიდობის შედეგად დაიღუპა ორი კაცი და უკვალოდ დაიკარგა 9 კაცი.



მაკმილანის ვიზიტი რომში

რომი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს რომში ოფიციალური ვიზიტად ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი, რომელსაც ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი. ისინი აფარმიუტენ მოლაპარაკებას პრეზიდენტ გრონჯისთან და იტალიის მთავრობის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

მოლაპარაკების მთავარი თემა, ადგილობრივ პოლიტიკურ მიმმხილველთა სიტყვით, უნდა იყოს ეკონომიური ურთიერთობა ინგლისსა და ექვსი ქვეყნის „საერთო ბაზარს“ შორის. მაგრამ მიმმხილველები ითვალისწინებენ სიძნელეებს ამ საკითხის განხილვის დროს, იმის გამო, რომ წინააღმდეგობაა „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას“ („შვიდეულს“), რომელსაც ინგლისი მეთაურობს და „ექვსეულს“ შორის, რომელიც ქმნის „საერთო ბაზარს“, აგრეთვე იმის გამო, რომ უთანხმოებაა თვითონ იტალიის მთავრობაში ამ ორი ეკონომიური ბლოკის დაახლოების საკითხზე.

განსაკუთრებით პესიმისტურ შეფასებას აძლევს მოლაპარაკების პერსპექტივებს რომის გაზეთი „ავანტი“, რომელიც ბრალად დებს იტალიის დიპლომატიას იმაში, რომ „მას არა აქვს რაიმე საკუთარი იდეები და მიზნები“.

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ინგლისის პრესა აღნიშნავს, მაკმილანის ვიზიტით იტალიაში იწყება სერია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერთა მოლაპარაკებისა საპირბოროტ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

პრესის ცნობებით, ფანფანისთან და სენნიისთან მაკმილანისა და პიუმის მოლაპარაკების ოფიციალურ დღის წესრიგში შედის შემდეგი საკითხები: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა; ნატოს პრობლემები; „ექვსი ქვეყნის“ და „შვიდი ქვეყნის“ ეკონომიურ დაჯგუფებათა ურთიერთობა; დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის.

ჟურნალისტთა წრეებში ამბობენ, რომ „ნატოს განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ მოლაპარაკების მსვლელობაში მონაწილენი შეეხებიან იმ საკითხს, შესაძლებელია თუ — არა ამერიკის ბაზების განლაგება იტალიის ტერიტორიაზე „პოლარისის“ რაკეტებით შეიარაღებული წყალქვეშა ნავებისათვის.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტის ლეიბორისტმა წევრებმა გუშინ თემთა პალატაში მოითხოვეს უფრო დაწვრილებითი ცნობები ინგლის-ამერიკის შეთანხმების შესახებ, რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების ამერიკული ბაზის შექმნას ჰოლილოპში (შოტლანდია).

უპასუხა რა პრემიერ-მინისტრის სახელით, თემთა პალატის ლიდერმა ბატლერმა განაცხადა, რომ საბოლოო შეთანხმება ბაზის შესახებ მიღწეული იყო 31 ოქტომბერს და რომ მას კონფიდენციალური ხასიათი აქვს. ბატლერმა უარი თქვა ეცნობებინა რაიმე უფრო კონკრეტული ამ საკითხზე.

ეგიპტეს კუბა!

მონტევიდეო და სანტიაგო, ლა-პასი და ბელო-ორიზონტე, ბაღდადი და რომი.— ტელეგრაფს ყოველი მხრიდან მოაქვს ცნობები, რომ ჩაღდება მოძრაობა სოლიდარობისა ბრძოლა სოლიდარობისა მგმრ კუბასთან, მამაც და თავისუფლებისმოყვარე ხალხთან, რომელმაც ტირანია მოიშორა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს. მილიონობით ადამიანი მსოფლიოს სულ სხვადასხვა ქვეყანაში მრისხანე პროტესტს აცხადებს ამერიკელთა სამხედრო ხროვის თავხედური მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც ევროპის ერთიანობა, ლათინური ამერიკის მშრომელთა ათობით სხვა ორგანიზაცია.

„ეგიპტე კუბას!“ — „გაუმარჯოს კუბას!“ — ეს ლოზუნგი გაისმის ყველა კონტინენტზე. კუბის დაცვა მთელი პროგრესული კაცობრიობის საქმეა. მის მხარეზეა მსოფლიოს ყველა მოწინავე ადამიანთა სიმპათიები. სურათზე თქვენ ხედავთ რომაელ სტუდენტებს, რომლებიც რომში ამერიკის საელჩოს შენობასთან არღვევენ პოლიციის პიკეტებს კუბის მხარდასაჭერად გამართული დემონსტრაციის დროს.

ბეტუარის მონაჭორები

პარიზი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ნატოს ქვეყნების საპარლამენტო საბჭოს მორიგი ყოველწლიური სესია. სესიას ესწრებიან [illegible] ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრი 15 სახელმწიფოს [illegible] მადგენლობა. [illegible] ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტად არჩეული ლინდონ ჯონსონი. სესია ერთ კვირას გასტანს, და მისი რეკომენდაციები, რომლებიც სავალდებულო არ არის, საერთო მიმართულებას მისცემენ ნატოს საბჭოს. სესიის მუშაობას მინისტრთა დონეზე, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში გაიმართება.

ახლანდელი სესიის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: ნატოს ატომური შეიარაღებული ძალების შექმნა, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების ტაქტიკა იმ პირობებში, როცა „აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეტოქეობაა პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ დარგებში,“ „ნატოს პასუხისმგებლობის ჩარჩოების“ გეოგრაფიული გაფართოება, დასავლეთის ქვეყნებისა და ნეიტრალური ქვეყნების ურთიერთობა, აგრეთვე დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის.

გამოვიდა რა სესიის გახსნაზე, ნატოს წევრი ქვეყნების საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ გენერალმა ბეტუარამ გაიმეორა გაცვეთილი მონაჭორები „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ და მოითხოვა, რომ შეიქმნას დასავლეთის დაცვის ყოვლისმომცველი სისტემა „საქმიანობის სხვადასხვა დარგში — ეკონომიურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ, სოციალურ და სამხედრო დარგებში“. თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი ბეტუარმა მიუძღვნა ანტისაბჭოთა გამოხდომებს და იმის მტკიცებას, რომ საჭიროა ნატოს სამხედრო მანქანის კიდევ უფრო გაძლიერება. გენერალი მხოლოდ გაკვრით შეეხო ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების საკითხს და შენიშნა, რომ დასავლეთმა უნდა გაუწიოს მაგ ეს დახმარება, რამდენადაც, მისი სიტყვით, ეს შეიძლება იყოს საშუალება „კომუნისტური შეტევის შეჩერებისათვის მსოფლიოში“.

სესიაზე გამოვიდა ლინდონ ჯონსონი. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამსწინანდელი არჩევნების შედეგები სრულებითაც არ მოწმობს იმის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს იტყვიან იმაზე, რომ მხარი დაუჭიროონ „ერთობლივ ღონისძიებებს დასავლეთ ევროპაში“.

იუნესკოს გენერალური კონფერენცია

პარიზი, 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი იტყობინება: დღეს იუნესკოს გენერალური კონფერენციის მე-11 სესიის პრეზიდიუმის მუშა ჯგუფმა, სადაც განიხილებოდა სსრ კავშირის დელეგაციის ის წინადადება, რომ კონფერენციის დღის წესრიგში შეიტანონ „დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“, ერთსულოვნად გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე.

დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები, რომ მოეხსნათ დღის წესრიგიდან თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. კოლონიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს აშკარად მოეხსნათ ეს საკითხი და იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ იმას, რომ გენერალური კონფერენციის პლენარულ სხდომას განეხილა საკითხი — იუნესკოს როლი კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის ხელშეწყობის საქმეში, მხედველობაში ჰქონდათ რა შესაბამისი წინადადებანი და დისკუსია ამ საკითხის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე.

სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას აქტიურად დაუჭირეს მხარი მუშა ჯგუფის სხდომაზე ინდოეთის, განისა და მექსიკის წარმომადგენლებმა.

პარიზი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ დაიწყო განხილვა ამ ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოხსენებისა იუნესკოს საქმიანობის შესახებ 1958-1959 წლებში და 1960 წლის პირველ რვა თვეში.

იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის ბენ ტომასისა და მოხსენებათა კომიტეტის თავმჯდომარის გ. კამინსკის მოკლე გამოსვლების შემდეგ სიტყვა აიღო ამერიკის დელეგაციის მეთაურმა რობერტ ტეიერმა, რომელმაც გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მისასალმებელი წერილი გენერალური კონფერენციის მონაწილეებისადმი.

მოაქცია რა მთავარი ყურადღება კულტურული და მეცნიერული გაცვლის საკითხებს, ამერიკის წარმომადგენელი დაეჭნებით მოუწოდებდა კონფერენციის დელეგატებს განზე დაეტოვებინათ თანამედროვეობის აქტუალური პოლიტიკური პრობლემები.

გენერალური კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს პერუს დელეგაციის მეთაურის დოქტორ რ. მაკლინ-ესტენსოს მკაფიო გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ იუნესკოს ადმინისტრაციული აპარატის მუშაობაში არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები. რომლებიც ზიანს აყენებენ ამ ორგანიზაციის საქმიანობას. მაკლინ-ესტენსომა აღნიშნა, რომ კაცობრიობის ორ მესამედს ქრონიკულად აკლია კვება და რომ შეერთებულ შტატებშიც კი არის მოსახლეობის მნიშვნელოვანი კატეგორია, რომელიც ცუდად იკვებება, რომ ინდოეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა, რომ 5 მილიონზე მეტ ბავშვს დედამიწაზე საშუალება არა აქვს იაროს სკოლაში, და თქვა: ამ პირობებში, რომლებიც აბსოლუტურად შეუწყნარებელი და სამარცხვინოა ჩვენი ეპოქისათვის, იუნესკოს ხელმძღვანელობას შესაძლებლად მიაჩნია თავისი ბიუჯეტის სახსრები ხარჯოს დიდძალ მეორეხარისხოვან ღონისძიებებზე.

ორატორმა განსაკუთრებით აღნიშნა ლათინური ამერიკის ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობის — ინდიელების უადგილად გაპირვებული მდგომარეობა. მან განაცხადა, რომ „30 მილიონი ინდიელი არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს და იხოცება სიცივით და ეპიდემიური ავადმყოფობით“, მაშინ როცა იუნესკო, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხთა კულტურულ განვითარებას, „უდიდეს სახსრებს ფლანგავს უზომოდ გაბერილი ბიუროკრატული აპარატის შენახვაზე“.

კუბის რესპუბლიკის დელეგატმა რ. ლასომ ილაპარაკა დიდ წარმატებებზე, რომელებიც კუბელმა ხალხმა მოიპოვა ფიდელ კასტროს რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

მან კონფერენციის მონაწილეებს, და უწინარეს ყოვლისა აფრიკის ახალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, გადასცა კუბის რევოლუციური მთავრობის გულითადი მისალმება.

დისკუსია საანგარიშო პერიოდში იუნესკოს საქმიანობის შესახებ მოხსენების გამო გრძელდება.

ბონის სამხედრო შეკვეთები

ბერლინი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტროს, რომელიც ახორციელებს ბუნდესვერის დაჩქარებულ შეიარაღებას, განაზრახული აქვს ინგლისის სამხედრო კონცერნებს მისცეს ახალი შეკვეთები 200 მილიონი მარკის საჭურველისათვის. როგორც ადნის საადგილო ბონიდან იუწყება, დღემდე დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ ინგლისის სამხედრო კონცერნებს უკვე მისცა 80 მილიონი მარკის შეკვეთა. ეს შეკვეთებიც, კერძოდ, თვალსაწინოებენ ელექტრომოწყობილობისა და რადიალური დანადგარების, თვითმფრინავების, სამხედრო გემების, ნაღმების ტორპედებისა და სხვა იარაღის მიწოდებას.

ევროპის ერთიანობა

ბონი, 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. იურინოვი იუწყება: დღეს აქ ბონში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელმაც უნდა გამოაცხადოს პარტიის პოლიტიკური ხაზი ბუნდესტაგის ამ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 1961 წლის შემოდგომაზე გაიმართება. ყრილობა გაიხსნა პარტიის შიგნით არსებული უთანხმოების ვითარებაში. მოსახლეობის ბურჟუაზიული ფენების ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ უკანასკნელ დროს აიღო მკვეთრი მემარჯვენე კურსი რადიკალ საკითხში. ისევე საშინაო პოლიტიკაში. პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა ყრილობაზე ბად-ჰოდესბერგში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა არსებითად შეეურთდა ადენაუერის მთავრობის სამხედრო კურსს, რაკი მოიწონა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში და უარი განაცხადა დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე. ეს პროგრამა უარყოფს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსგავლი მრწამლობისა და ბანკების ნაციონალიზაციას.

გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის „ახალმა“ კურსმა ვერ მოგა სრული მხარდაჭერა პარტიის რიგით წევრთა შორის, რომელთაგან ბევრს ეს კურსი მიაჩნია განდგომად სოციალიზმის იდეებისაგან და დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის ინტერესებისათვის ღალატად. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგით წევრთა უკმაყოფილება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა რეზოლუციის პროექტებში, რომლებიც ყრილობას წარუდგინეს პარტიის აპარატის აგიტ-პროპაგანდის მონაწილეობა ნატოში. ძირეული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ შეიქმნას უატომო ზონა ცენტრალურ ევროპაში და დაწესდეს კოლექტიური უშიშროების სისტემა.

საშინაო პოლიტიკის დარგში ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ უარყოს დასავლეთ გერმანიაში და გამოყოს მილიარდობით სახსრები ეგრეთწოდებული სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის „დახმარების“ გაწევის ფონდში, რაც არსებითად იმას მოასწავებს, რომ იყოლიონ ეს ქვეყნები დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებაში.

იმ ცნობების თანახმად, რომლებიც ბონის პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა, ადენაუერი ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გუშინ მობუტუს განკარგულებით დაახლოებით 800 კონგოელი ჯარისკაცი ჯავშნიანი მანქანების მხარდაჭერით გარს შემოერტყა განის სასელჩოს. ერთ ასეულამდე ტუნისელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარის კონტინგენტში და იცავენ განის საელჩოს, საბრძოლო პოზიციები დაიკავეს საელჩოს პარკში, სადაც იმყოფებოდნენ აგრეთვე განელი პოლიციელები.

შინაგან საქმეთა გენერალურმა კომისარმა ნუსბაუმერმა გუშინ განაცხადა, რომ თუ განის საქმეთა რწმუნებული უარს იტყვის დატოვოს კონგოს ფარგლები, მობუტუს ჯარისკაცებს „მოუხდებათ საელჩოში შეჭრა“.

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, გუშინ საღამოს მობუტუს ჯარისკაცები თავს დაესხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს, რომლებიც განის საელჩოს იცავენ.

ლონდონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, მობუტუს ჯარისკაცებსა და ტუნისის ჯარებს შორის, რომლებიც განის საელჩოს იცავენ, დაიწყო გაფფრეებული სროლა.

ანოვერი

ანოვერი, 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. იურინოვი იუწყება: დღეს აქ ბონში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელმაც უნდა გამოაცხადოს პარტიის პოლიტიკური ხაზი ბუნდესტაგის ამ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 1961 წლის შემოდგომაზე გაიმართება. ყრილობა გაიხსნა პარტიის შიგნით არსებული უთანხმოების ვითარებაში. მოსახლეობის ბურჟუაზიული ფენების ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ უკანასკნელ დროს აიღო მკვეთრი მემარჯვენე კურსი რადიკალ საკითხში. ისევე საშინაო პოლიტიკაში. პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა ყრილობაზე ბად-ჰოდესბერგში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა არსებითად შეეურთდა ადენაუერის მთავრობის სამხედრო კურსს, რაკი მოიწონა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში და უარი განაცხადა დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე. ეს პროგრამა უარყოფს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსგავლი მრწამლობისა და ბანკების ნაციონალიზაციას.

გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის „ახალმა“ კურსმა ვერ მოგა სრული მხარდაჭერა პარტიის რიგით წევრთა შორის, რომელთაგან ბევრს ეს კურსი მიაჩნია განდგომად სოციალიზმის იდეებისაგან და დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის ინტერესებისათვის ღალატად. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგით

ყრილობა

გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა

წევრთა უკმაყოფილება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა რეზოლუციის პროექტებში, რომლებიც ყრილობას წარუდგინეს პარტიის აგიტ-პროპაგანდის ორგანიზაციებმა. საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე რეზოლუციის 11 პროექტიდან 10 პროექტი შეიცავს მოთხოვნას, რომ ყრილობამ გადაჭრით უარყოს დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღება, საყოველთაო სამხედრო ვალდებულება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის

კომუნისტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი



გ. ჩუბინაშვილის დაბადების 75 წლისთავის გამო

დიდი ერუდიცია, მეცნიერული კვლევის ფართო დიაპაზონი, უუძვირეს მეცნიერებათა ახლის ძიებისადმი, საქმისათვის თავდადება, დაუშრეტელი ენერგია, ახალგაზრდული მგზნებარეობა — ყველა ამ თვისებით უხვად დაჯილდოებულია დიდი მეცნიერი და ბუნოვანი მოღვაწე, აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომელსაც 75 წელი შეუსრულდა. ამ გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერის სახელთან დაკავშირებულია სრულიად ახალი მეცნიერული დისციპლინის — ქართული ხელოვნების ისტორიის — ჩასახვისა და განვითარების მთელი გზა.

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა პეტერბურგში 1885 წლის 21 ნოემბერს. პეტერბურგის გერმანულ საშუალო სასწავლებელში სწავლის წლები, ლაიპციგის უნივერსიტეტი, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა დიდებული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და უდიდეს მუზეუმთა კოლექციების შესასწავლად. 1914 წელი — ფილოსოფიისა და თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორის დიპლომი; 1912 წელი — კვლავ პეტერბურგი: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტი; საქართველოსა და სომხეთის ისტორიის, ქართული და სომხური ენების შესწავლა. ყოველწლიური მოგზაურობანი საქართველოში; ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის დასაწყისი...

1918 წლიდან გ. ჩუბინაშვილი თბილისშია, იგი არჩეულია თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად. დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობს გ. ჩუბინაშვილი თავის მიერ შექმნილ ხელოვნების ისტორიის კათედრას. უნივერსიტეტთანვე დაარსა ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი, სადაც თავი მოუყარეს მთელ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ქართული ხელოვნების შესწავლის დარგში.

1922 წელს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა სამხატვრო აკადემია. მისი პირველი რექტორია გ. ჩუბინაშვილი. უდიდესი მზრუნველობით ეკიდება იგი ქართველ მხატვართა ახალი თაობის აღზრდის საქმეს.

1941 წელი ღირსსახსოვარია ქართული კულტურისათვის. ამ წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და მასთან ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, რომელიც მალე გადაიქცა ინსტიტუტად. მის დირექტორად დაინიშნა გ. ჩუბინაშვილი.

რთულ ვითარებაში მოუხდა გ. ჩუბინაშვილს მოღვაწეობის დაწყება. ქართული ხელოვნების შესწავლა იმ დროისათვის მასალათა შეგროვებას არ გასცილებია. დასავლეთის ზოგიერთი მეცნიერის წყალობით კი ქართული ხელოვნების საკითხები ყალბად იყო წარმოდგენილი. ამგვარად, ახალგაზრდა მეცნიერის წინაშე იდგა რთული ამოცანა, მას უნდა დაეწყო ქართული ხელოვნების ურთულესი და უმთავრესი პრობლემების გადაჭრა. ძირფესვიანად აღმოეფხვრა უცხოეთის ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი შეხედულებები. ეს რთული და ერთი ადამიანისათვის თითქოს მიუღწეველი ამოცანა წარმატებით გადაჭრა გ. ჩუბინაშვილმა.

თავდაპირველად გ. ჩუბინაშვილმა აუყარაფა „ხელოვნებათაგან უპირველესზე“ — ხუროთმოძღვრებაზე შეაჩერა. ქართველ დიდოსტატთა ნახელავი წარმოადგენდა, ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი სულის მკაფიო გამოხატულებას, მას ემორჩილებოდნენ და მასში იყვნენ შერწყმულნი ხელოვნების სხვა დარგები —მხატვრობა, ქანდაკება. სწორედ ხუროთმოძღვრებაში გახდა შესაძლებელი გარკვეულიყო ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარების საფეხურები.

კოლოსალური მუშაობა გასწია მეცნიერმა არქიტექტურულ ძეგლთა გარშემო ფაქტიური მასალის შეგროვებისა და სისტემატიზაციისათვის, არ დარჩენია შეუსწავლელი საქართველოს არც ერთი კუთხე. თვით ხუროთმოძღვრული ძეგლების ღრმა სტილისტიკური ანალიზისა და წერილობითი წყაროების თუ სხვა მონაცემების კრიტიკული დამუშავების საფუძველზე დათარიღდა და დაჯგუფდა ქართული ხუროთმოძღვრების უმთავრესი ძეგლები.

განსაკუთრებული კვლევის საგნად იქცნენ ბაზილიკური ნაგებობანი. გამოკვლევაში ბოლნისის სიონის შესახებ, რომელიც ხუროთმოძღვრული ძეგლების მონოგრაფიული შესწავლის ნამდვილად კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, გ. ჩუბინაშვილმა დასახა საქართველოში ბაზილიკური ტიპის განვითარების მთელი გზა IV-X საუკუნეთა მანძილზე, გაარკვია ქართული ბაზილიკური ფორმების ურთიერთობა სხვა ქვეყნების ამავე სახის ძეგლებთან. მანვე აღმოაჩინა ადრეული ფეოდალური ხანის ნაგებობათა სრულიად უნიკალური ტიპი, რომელიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება, ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკა.

ძვირფეგი ძეგლები, რომლებსაც გ. ჩუბინაშვილმა მიუძღვნა თავისი გამოკვლევები, მცხეთა ჯვარი და მისი ტიპის ძეგლები, დაწრომის ტაძარი. ამ ნაშრომებში ძეგლების შესწავლისა და მათი დათარიღების შედეგად, ახსნილი იყო ქართული არქიტექტურის ბევრი საკვანძო საკითხი, მტკიცდებოდა ამ ძეგლების სრული თავისთავადობა, რაც ღრმა ეროვნული ფესვები ჰქონდა.

გ. ჩუბინაშვილის ნაშრომებში „ქართული ხელოვნების ისტორია“, ტ. I და „ქართული არქიტექტურის განვითარების გზები“ (თანაავტორი ნ. სვეტრიკი) ნათლად არის ნაჩვენები ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ხასიათი და მტკიცედ არის დადგენილი მისი განვითარების ეტაპები.

მრავალი წლის შრომის შედეგს წარმოადგენს გ. ჩუბინაშვილის ახლახან გამოსული დიდი მონოგრაფია კახეთის ხუროთმოძღვრების შესახებ. იგი მოიცავს საქართველოს ამ ისტორიული კუთხის მთელი არქიტექტურის გამოკვლევას ადრეული უდიდეს მონაკვეთზე— IV-XVIII საუკუნეებში.

მეცნიერული კვლევის ობიექტებად იქცენ შუა საუკუნეების დიდი ქართული კათედრალები—ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი, ალავერდი; მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი (სვეროვთან ერთად) კუმურდო და ნიკორწმინდა.

ძნელია გ. ჩუბინაშვილის ყველა ნაშრომის ჩამოთვლა, თუნდაც არქიტექტურის დარგში. მაგრამ არქიტექტურა ხომ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მხოლოდ ერთ-ერთი სფეროა. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მის კვლევა-ძიებაში ქართული ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვან დარგს, როგორიც ოქრომჭედლობაა, მის შეუსწავლელად შეუძლებელი იქნებოდა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების საერთო სურათის დადგენა. გ. ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომებში გადაწყვეტილია ქართული ჭედური ხელოვნების ძირითადი პრობლემები, დადგენილია მისი განვითარების მთავარი საფეხურები. ამდამად კი ქართული ხელოვნებას შემსწავლელი ხელთ აქვთ გ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი უნიკალური ალბომი ქართული ალაბატრის ნიმუშების მშვენიერი რეპროდუქციებით და დიდი გამოკვლევა ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიისა, სადაც მოცემულია ხელოვნების ამ დარგის განვითარების სრული და ნათელი სურათი.

არ დარჩენილა ქართული ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელშიც თავისი წვლილი ფუნდამენტური შრომითა და გამოკვლევით არ შეეტანოს გ. ჩუბინაშვილს. მისმა ნაშრომებმა სახელი გაითქვა არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ შორს მის საზღვრებს გარეთაც. გ. ჩუბინაშვილის შრომების მნიშვნელობა შესანიშნავად არის შეფასებული იმ დიპლომში, რომელიც მან მიიღო ლაიპციგის კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად მისი არჩევის გამო უნივერსიტეტის 550 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა გ. ჩუბინაშვილის ხანგრძლივი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა: მიანიჭა მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ქართული ხელოვნებათმცოდნეობას ფუძემდებელი, ქართული საბჭოთა ხელოვნების, მეცნიერი, მეცნიერთა თაობების შესანიშნავი აღმზრდელი, დაუღალავი საზოგადო მოღვაწე გ. ჩუბინაშვილი დღესაც დაუცხრომელი ენერგიით კაბაგრძობს მუშაობას. საბჭოთა მეცნიერების საგანძურს იგი კიდევ ბევრ მნიშვნელოვან გამოკვლევას შესძენს.

კ. მაჩაბელი.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატი

რიგა. 22 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ მოეწყო ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ო. რუბცოვასა და სსრ კავშირის ჩემპიონის ლ. ვოლპერტის გადადებული პარტიის დამთავრებამ. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ვოლპერტი მთელი ენერგიით იცავდა თავს, რათა შეეკავებინა მოწინააღმდეგის იერიშები, მაინც ბოლოს ძალიან იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

ე. კაკაბაძეს გადადებული ჰქონდა პარტია ქ. ზვორიკინასთან უიმედო მდგომარეობაში, ამიტომ იგი ბრძოლის განუახლებლად დანებდა მეტოქეს.

როგორც ვიუწყებოდით ქ. ზვორიკინასა და მ. ტოგონიძის პარტია გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში, ამიტომ მეტოქეებსაც ბრძოლა არ განუახლებიათ და ყაიმით დაკმაყოფილდნენ. მეორე გადადებული პარტია მ. ტოგონიძემ ვ. კაუშილაიტისთან თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

მესამე ტურიდან ო. იგნატიევა-ა. ვიტკოვსკაიას, ა.არეთვე მეოთხე ტურიდან ლ. ვოლპერტა-ო. იგნატიევას გადადებული პარტიები არ გათამაშებულა. ტ. ფილანოვსკაიამ დაამარცხა ვ. კოზლოვსკაია, ხოლო ვ. კოზლოვსკაიამ — ე. კაკაბაძე.

ყურადღების ცენტრში იდგა ქ. ზვორიკინასა და ნ. გაფრინდაშვილის გადადებული პარტიის დამთავრება, სადაც ქართველ მოჭადრაკეს პაიკი აკლდა. ქ. ზვორიკინა ყოველმხრივ ცდილობდა მატერიალური უპირატესობა გამარჯვებამდე მიეყვანა. მაგრამ ნ. გაფრინდაშვილი ზუსტად და გონებამახვილურად თამაშობდა და შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ტ. კრიუკოვა- ს. როოტარესა და ვ. ტიხომიროვა-ო. რუბცოვას პარტიებში.

ᲭᲐᲭᲠᲘᲡᲐ

ამრიგად, გათამაშდა ჩემპიონატის პირველი ხუთი ტური. ლიდერები არიან ვ. ბორისენკო და თ. ზატულოვსკაია, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ. ო. რუბცოვას 3,5 ქულა აქვს, ნ. გაფრინდაშვილს, მ. ტოგონიძეს, ს. როოტარესა და ვ. კოზლოვსკაიას — სამ-სამი ქულა, ლ. ვოლპერტს — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ხვალ ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ. 24 ნოემბერს გაიმართება მორიგი, მეექვსე ტური.

გაქოს საჭიდაო ხალიჩებზე

აზერბაიჯანის დედაქალაქში გუშინ გრძელდებოდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

უკანასკნელ ტურებში საქართველოს მოჭიდაველები წარმატებით გამოვიდნენ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაამარცხეს ძლიერი მეტოქეები ლენინგრადისა და მოსკოვის გუნდები ანგარიშით 21:11 და 20:12.

რესპუბლიკურ პირველობაზე

თბილისი ლენინის სახელობის პორტო დარბაზში დაუშვეს რესპუბლიკური ჩემპიონატის ალაპი ძალოსანი.

რა გვიჩვენა ამ შეჯიბრებამ?

თუ არ მივიღებთ მხედველობაში შეალო წონის რ. გალოიანი (თბილისი) სპორტულ მაჩვენებლებს, რომელმაც ჩემპიონატში ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დამყარა, დანარჩენი შეჯიბრებები დაბალია. ეს მოწმობს იმაზე, ამ პასუხსაგები ასპარეზობისათვის ... ნი შტანგისტები არასერიოზულად ... დებოდნენ.

პირველობის ერთ-ერთ მთავარ ... ბით მხარეს წარმოადგენდა ის, რომ ... გამოდიოდნენ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთა წარმომ... ლი ადგილები და ჩემპიონობა მოიპოვეს. კოლექტივებს შორის უძლიერესი ... ნენ თბილისის კიროვის სახელობის ... სამშენებლო ქარხნისა და ქუთაისის ... ჯონიკიძის სახელობის ავტომექანიკ... ნდები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარ... ვეს თბილისელებმა, ხოლო მეორე ... ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს აჭარ... და აფხაზეთის გუნდებმა. ჩემპიონ... წონითი კატეგორიების მიხედვით გა... ნენ — რ. დათიკაშვილი (თბილისი), ... სურმანიძე (აჭარა), შ. კაცობაშვილი, ... რადიმაშვილი, რ. გალოიანი, კ. ... მ. მინასიანი (ყველა თბილისიდან).

მოჭიდავეთა ასპარეზობა

ბორჯომ რამდენიმე დღე გრძელდებ... სოფლის კლასიკურ მოჭიდავეთა შეჯ... რება ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდურ ... რველობაზე. ასპარეზობაში მონაწილეო... და მოკავშირე რესპუბლიკების ასპ... უძლიერესი მოჭიდავე, რომელთა მნ... ვნელოვანი ნაწილი სპორტის ოსტატ... იყვნენ.

ჩემპიონატში კარგად მომზადებულ... გამოვიდა რსფსრ გუნდი, რომელმაც ... რმატებით ჩაატარა შეხვედრები და ... პიონის წოდება მოიპოვა. მომდევნო ... საპრიზო ადგილი თანმიმდევრულად ... კავეს ესტონეთისა და საქართველოს ... ჭიდავეთა კოლექტივებმა.

დიდი წარმატება ხვდათ რსფსრ ... მომადგენლებს პირად შეჯიბრებაში. ... რვიდან 7 წონითს კატეგორიაში პირ... ლი ადგილები და ჩემპიონობა მოიპ... ესენი არიან — მ. სარობიხოვსკი, ... ვნენკო, დ. მოროზოვი, ვ. ცაკოვი, ... ლიჩაგინი, ა. კოძოკოვი, ვ. ჩუბრიკ... საქართველოდან ჩემპიონი გახდა ა. ... რაძე (მსუბუქი წონა).

გამარჯვებულთ საზეიმოდ გადაეც... ჯილდოები.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

განაში დამთავრდა მოსკოვის დინ... მოელთა ტურნე. საბჭოთა ფეხბურთ... ლებმა უკანასკნელი მატჩი აქ გამართ... საკუთარ გუნდ „ბლეკ სტერთან“ ... ჯიბრება, რომელიც დიდ სიცხეში მიმ... ნარეობდა, დამთავრდა ფრედ 0:0. ... მოელები განიდან გამოემგზავრნენ.

△ **ეთიოპიაში** სტუმრად იმყოფ... ბაკოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელ... კოლექტივი. საბჭოთა ფეხბურთელ... პირველი საერთაშორისო მატჩი გა... თეს ადის-აბების ნაკრებთან. შეხვედ... აღინიშნა ბაკოელთა უპირატესობით ... დამთავრდა მათივე გამარჯვებით 7:0.

△ **ბუდაპეშტში** დიდი ინტერესი ... მოიწვია საერთაშორისო შეჯიბრებამ ... ხბურთში უნგრეთისა და ავსტრიის ... რებ გუნდებს შორის. უნგრეთის ... ნულმა ნაკრებმა შეხვედრა მაღალ სპ... ტულ დონეზე ჩაატარა და გაიმარჯვა ... გარიშით 2:0.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

24-25 ნოემბრისა-თვის დასავლეთ საქართველოში მოსა-ლოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, ცვლებადი მიმართულების სუსტი ზომიერიმდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 8-13 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, უმეტესად დასავლეთ რაიონებში, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერამდე ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა, 3 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

„ეს არ უნდა განმეორდეს“

ქართველ მშვიდობის მომხრეთა ხმა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიის მოწოდებით ამ დღეებში ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს კამპანია მშვიდობისა და განიარაღებისათვის. აღნიშნულ კამპანიაში ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს მშვიდობის მომხრენი. ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი მიძღვნილ კრებებსა და სალამოებზე რესპუბლიკის მშრომელნი მხურვალედ იხილავენ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობისა და „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლის გაძლიერების საკითხებს.

როგორც ქართველი ხალხის ტრადიციული მშვიდობისმოყვარეობის გამოხატულება, ამას წინათ მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მრავალი ქვეყნის მშვიდობის დაცვის ეროვნულ კომიტეტებს გაუგზავნა პლაკატი „ეს არ უნდა განმეორდეს!“. პლაკატზე, რომელიც შესრულებულია მხატვარ ნ. მალაზონიას მიერ, გამოსახულია ომის წლების ნაცნობი სურათი: ტროტუარზე ზის მტირალი ბავშვი. იგი შეშინებული, ცრემლმორეული ელის დაკარგულ დედას. მის თავზე აღმართულია ჯარისკაცის მძიმე ჩექმა.

„რამდენი ასეთი სურათი დაამახსოვრდა მსოფლიოს ადამიანებს, რომლებმაც გადაიტანეს ომის საშინელებანი! — ნათქვამი იყო წერილში, რომელიც საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტმა დაურთო პლაკატს: — რამდენი დედა დასტირის ტანჯებითა და ჯარისკაცის ჩექმებით გასრესილ ბავშვებს. ჩვენ, ქართველი მშვიდობის მომხრენი, კეთილი ნების ყველა ადამიანს დედამიწაზე მივმართავთ მხურვალე მოწოდებით — კიდევ უფრო გააფართოონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, იმისათვის, რომ არასოდეს არ განმეორდეს ადამიანთა საყლეტი ომის საშინელებანი!“

ამ დღეებში თბილისში დასავლეთ გერმანიიდან მიღებულია პაკეტი, რომელშიც აღმოჩნდა ქართველ მშვიდობის მომხრეთა პლაკატი და წერილი. პლაკატის მეორე მხარეზე არის შტამპი წარწერით: „ამ ორგანიზაციის საქმიანობა პოლიციის მიერ აკრძალულია“. დასავლეთ გერმანიის პოლიციის თვითნებობის ამ აქტმა გერმანელ მშვიდობისათვის მებრძოლთა მომართ გაკვირვება და დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებაში.

— ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა მოქმედებას მშვიდობისათვის მოძრაობის მონაწილეთა მიმართ, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს . საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ. — მთელი მსოფლიო საზოგადოებრივობის აღშფოთება გამოიწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტის აქტივისტების ამასწინანდელმა სასამართლო პროცესმა დიუსელდორფში, რომელიც აშკარად ინსპირირებული იყო ადენაუერის მთავრობის მიერ. დასავლეთ გერმანიაში დევნიან ყველა პროგრესულ და პატრიოტულ ორგანიზაციას, მაშინ როცა ყოველგვარი ფაშისტური და რევანშისტული ორგანიზაციისა და პირების საქმიანობას ყოველნაირად ხელს უწყობენ.

ქართველი მშვიდობის მომხრენი, ისე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, განაცხადა შემდეგ ა. ხორავამ, დიდად თანაუგრძნობენ დასავლეთგერმანელ მეგობრებს, რომლებიც უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ეწევიან მუშაობას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საერთო საქმე, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის წმიდა საქმე — გაიმარჯვებს! (საქდესი).

ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ

წიგნი დიდი გალეტის ოსტატებზე

ახლახან ბერლინში გამომცემლობა „რემბრანდტმა“ გამოსცა გერმანელი ხელოვნებათმცოდნის ჰორსტ კოეგლერის წიგნი „დიდი ბალეტი“. წიგნი გამოიცა როგორც გამომცემლობის სერიის „სცენისა და ფილმის“ ერთ-ერთი ტომი, რომელშიც გაშუქებულია მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. ეს წიგნი ამავე დროს წარმოადგენს რუსეთში საბალეტო ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორიულ ნარკვევს.

ჰორსტ კოეგლერი ერთგან წერს: „დღეს დიდი თეატრის საბალეტო რეპერტუარის დიდ ნაწილს შეადგენენ ნაწარმოებები, რომლებიც დროის გამოცდამ სხვებზე გაცილებით წინ დააყენა. ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“ (ქორეოგრაფია ლავროვსკისა), ხაჩატურიანის „სპარტაკი“ (ქორეოგრაფია მოისეევისა), კრეინისის „ლაურენსია“ (ქორეოგრაფია ჭაბუკიანისა).

ჰ. კოეგლერი წერს, რომ დიდ თეატრში ხანდახან მიწეევით მუშაობენ „გამოჩენილი საბჭოთა ქორეოგრაფები“. მაგალითად, განაგრძობს ავტორი, ბალეტ „ლაურენსიას“ დასადგმელად მიწვეულ იქნა ვ. ჭაბუკიანი.

ჰ. კოეგლერი თავის წიგნში არაერთხელ ეყრდნობა ცნობილი გერმანელი ხელოვნებათმცოდნის ებერჰარდ რებლინგის კაპიტალურ შრომას „ბალეტი გუშინ და დღეს“, რომელიც გასულ წელს გამოიცა ბერლინში და წარმოადგენს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ჩასახვისა და ბალეტის თეატრის სოლისტებს ვ. წიგნაძეს, ზ. კიკალიშვილს და სხვ. ბალეტ „ოტელოს“, რომლის დადგმა განხორციელდა თბილისში, ე. რებლინგი მსოფლიო საბალეტო ხელოვნების გამარჯვებად თვლის.

ჰორსტ კოეგლერის წიგნს „დიდი ბალეტი“ დართული აქვს ფერადი ილუსტრაციები „მაია პლისეცკაია და ვ. ჭაბუკიანი ბალეტ „ლაურენსიაში“, „სცენა ბალეტიდან „ლაურენსია“, მუსიკა კრეინისის, ლიბრეტო მუდელბერგისა, ლოკე დე ვეგას მიხედვით, ქორეოგრაფია ვ. ჭაბუკიანისა“, ე. რებლინგის წიგნს „ბალეტი გუშინ და დღეს“ დართული აქვს ფერადი ილუსტრაცია „ვ. ჭაბუკიანი და ზ. კიკალეიშვილი ბალეტ „გორდაში“.

გერმანელ ხელოვნებათმცოდნეთა ახალი წიგნები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ ქართული ბალეტის ოსტატებს ღირსეული წვლილი შეაქვთ მსოფლიო საბალეტო ხელოვნების საგანძურში.

ვლ. ალფენიძე.

ᲐᲮᲚᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

სტალინირი. (საკ. კორ.). ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელმა მოაწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. ახალგაზრდა მხატვართა ბევრი სურათი ეძღვნება საქართველოში აბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

ყურადღებას იპყრობს სტუდენტ ნ. შვინდინის სადიპლომო ნაშრომი სამამულო ომის თემაზე „ფიცი“. სურათი ძლიერია ფერთა შეხამებით და ჯარისკაცთა ფსიქოლოგიური განცდის საუკეთესოდ გადმოცემით.

კურსდამთავრებულ ი. ჩიბისოვს ჩინებულად დაუხატავს ცნობილი უკრაინელი მწერლის ლესია უკრაინკას ყოფნა სურამში. რევოლუციურ თემას ეძღვნება ქ. ნიკოლაშვილის „საპატიმროში“.

სულ გამოფენაზე 100-ზე მეტი ნამუშევარია გამოტანილი. მის დარბაზებში ყოველდღიურად მრავალ დამთვალიერებელს ნახავთ.

ᲛᲮᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲖᲔ

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ელიზბარ უბილავას ახალი მოთხრობების კრებული „ანაკლიის ღამე“. კრებულში მოთავსებული მოთხრობები: „ანაკლიის ღამე“, „მიწა“, „ციხკრის ზარი“, „მეწისქვილე“, „ძაბული“, „გიორგილ ქალდანი“ მიძღვნილია ჩვენი დღევანდელობის აქტუალური პრობლემებისადმი. ავტორს თავის ნაწარმოებებში დაკვირვებული თვალით აქვს ასახული სოციალისტური სოფლის ადამიანების შრომა და ბრძოლა როგორც ომამდე, ისე ომისშემდგომ პერიოდში.

წიგნის რედაქტორები არიან მიხ. მრევლიშვილი და ნ. ხომერიკი.

„ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲮᲘ“

თელავში ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრი აკაკის საიუბილეო დღეებისათვის ამზადებს მისსავე პიესას „პატარა კახს“, რომელსაც ახორციელებს მოწვეული რეჟისორი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გოძიაშვილი, მხატვრულად აფორმებს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ივ. ასკურავა.

მსახიობ გ. კევლიშვილს მინდობილი აქვს დასადგმელად მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობა“, ხოლო თეატრის რეჟისორ ნ. დეისაძეს — შ. მოლორავას პიესა „სახიფათო გზაჯვარედინზე“.

შ. გოცირიძე.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

„ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲘ“

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავს სპექტაკლი მიუძღვნა დიდი პოეტის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, რომელმაც მაყურებელს უჩვენა დ. თაქთაქიშვილის პიესა „შარავანდედი“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. სებისკვერაძემ. მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ბუკიას.

აკაკის როლს ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გრ. ტყაბლაძე, ნიკო ნიკოლაძისას — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ვაშაძე. სპექტაკლში მონაწილეობს მთელი დასი.

„ᲘᲠᲘᲜᲔᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ“

კუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა სეზონის პრემიერად მაყურებელს უჩვენა დ. კლდიაშვილის ცნობილი პიესა „ირინეს ბედნიერება“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს აკ. ვასაძეს, მხატვრული გაფორმება ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს დ. თავაძეს, მუსიკა — კომპოზიტორ გ. ცაბაძეს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ხვიჩია, დამსახურებული არტისტები ვ. გვენცაძე, თ. კიკნაძე, შ. ხაჯალია, ა. ჩიქვინიძე, მსახიობები ლ. ვაშაკიძე, ე. სვანაძე, გ. ლასხიშვილი, ა. მოწონელიძე, ი. მიქიაშვილი, გ. ოყრეშიძე.

„ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲮᲘ“

თელავი. ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრი აკაკის საიუბილეო დღეებისათვის ამზადებს მისსავე პიესას „პატარა კახს“, რომელსაც ახორციელებს მოწვეული რეჟისორი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გოძიაშვილი, მხატვრულად აფორმებს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ივ. ასკურავა.

მსახიობ გ. კევლიშვილს მინდობილი აქვს დასადგმელად მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობა“, ხოლო თეატრის რეჟისორ ნ. დეისაძეს — შ. მოლორავას პიესა „სახიფათო გზაჯვარედინზე“.

შ. გოცირიძე.

ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ თბილისის კვების ვაჭრობის მუშაკები არიან. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ისინი სამუშაო ადგილზე კი არა, არამედ თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ბაღში გადაიღო. თბილისის № 18 სახურსათო მაღაზიის გამყიდველი (სურათზე მარცხნიდან) ლ. სარალიძე, კომკავშირული № 31 საკონდიტრო მაღაზიის გამყიდველი მ. ზერეკიძე, კომკავშირული № 2 გასტრონომიული მაღაზიის გამყიდველი მ. პაპუაშვილი და № 16 გასტრონომიული მაღაზიის სექციონერი გ. მიქაძე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტებიც არიან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე ების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მე